ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი № 26

21 მარტი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი№2
13 :00 სთ

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გულია გოცირიძე

მარიკა დარჩია

თარაშ შურღაია

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ დაინტერესებული მოქალაქეები:

ბორის გადელია

ირაკლი მაღლაკელიძე

ირაკლი გაჩეჩილაძე

კარლო სიდამონიძე

სიმონ ჟორჟოლიანი

ნათია ჯანელიძე

ავთანდილ ირემაშვილი

გონერი მესხი

მიხეილ იაკობიძე

მურთაზ იაკობიძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერის შესახვევისთვის სატივეს ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ე.წ. „მაღლივის ხიდისთვის“ ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, იაკობ გოგებაშვილის I და II ჩიხისთვის ნათია ბაშალეიშვილის I და II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გიორგი გაგილაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თენგიზ ჩანტლაძის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
6. "ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ნატბეურების სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N208 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

7. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ქართულ-ეზიდური მეგობრობის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გზისკარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის ნოქალაქევის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, იგოთის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის იგოთის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის I გასასვლელის და სანდრო მირიანაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ
11. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, დიმიტრი გულიას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის დიმიტრი გულიას I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი გურჯიევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის იების სახელის მინიჭების შესახებ
13. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეღვინე სოლომონ ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
14. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის, სამი ჩიხისთვის და ერთი გასასვლელისთვის მხატვარ-მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის სახელის მინიჭების შესახებ

1. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერის შესახვევისთვის სატივეს ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, აღნიშნული ტერიტორია დღემდე ვერის შესახვევის სახელითაა ცნობილი, ასე მოიხსენიებს მოსახლეობაც. თუმცა, „სატივე“ არის ტოპონიმი ვრცელი და საინტერესო ისტორიით, რომლის თანახმადაც ასე ეწოდებოდა ადგილს მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. ეს იყო იგივე ტივმისადგომი ადგილი (უბანს კი სატიო, სატივე ერქვა), სადაც ქართლიდან მტკვარზე ტივებით თბილისში ხე-ტყე, ხილი და ბოსტნეული გადმოჰქონდათ, გადმოჰყავდათ მგზავრებიც.

რაც შეეხება შესახვევს, თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ იგი არსებობს ძირითადი ქუჩისგან (კოსტავას ქუჩა) დამოუკიდებლად.

აზრი გამოთქვეს: მარიკა დარჩიამ „სატივეს“ მნიშვნელობა ახსნა და აღნიშნა, რომ გარდა სამგზავრო და სატვირთო მნიშვნელობისა, ეს ტივები შემდგომში იშლებოდა და საშენ მასალად იყენებდა ქალაქი. მან მადლობა გადაუხადა კომისას საინტერესო სხდომებისთვის, ქალაქისთვის მნიშვნელოვანი თემების გაცოცხლებისთვის და არაერთი საინტერესო წამოწყების რეალიზებისთვის, რომელთაგან ერთ-ერთი ვერის შესახვევისთვის სატივეს სახელის მინიჭებაა.

თინათინ ნიბლოშვილმა ვერის შესახვევისთვის სატივეს სახელის დაბრუნების ინიციატივა გამოთქვა და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერის შესახვევს მიენიჭოს სატივეს სახელი.

2. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ე.წ. „მაღლივის ხიდისთვის“ ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც ცნობილია, ქალაქ თბილისის მერის კახი კალაძის ინიციატივით კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხიდს, რომელიც ბაგებს და უნივერსიტეტის ე.წ. მაღლივ კორპუსს ერთმანეთთან აკავშირებს.
თინათინ ნიბლოშვილმა ზემოხსენებული ხიდისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელის მინიჭების ინიციატივა გამოთქვა, სახელდება რა თქმა უნდა თემატურია, ვინაიდან ხიდი მდებარეობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ე.წ. მაღლივ კორპუსთან. საკითხს მხარი ერთხმად დაუჭირეს კომისიის წევრებმა.

აზრი გამოთქვეს: მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ ხიდის სახელდება ქუჩების, მოედნების და სკვერების სახელდებასთან ერთად კომისიის ფუნქციას წარმოადგენს და მისასალმებელია.
გულია გოცირიძის ინფორმაციით კი, როგორც ცნობილია, ზემოხსენებულ ხიდს რეაბილიტაცია აშენების შემდეგ არ ჩატარებია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ე.წ. „მაღლივის ხიდს“ მიენიჭოს ივანე ჯავახიშვილის სახელი.

3. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, იაკობ გოგებაშვილის I და II ჩიხისთვის ნათია ბაშალეიშვილის I და II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: სხდომაზე კომისიის წევრებმა თინათინ ნიბლოშვილთან ერთად სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას წერილი განიხილეს, რომლითაც ითხოვს ინფორმაციის დაზუსტებას იაკობ გოგებაშვილის I და II ჩიხების სახელწოდებასთან დაკავშირებით.

როგორც თინათინ ნიბლოსვილმა განმარტა, 2006 წლის 28 აპრილის #50 დადგენილების თანახმად იაკობ გოგებაშვილის ქუჩის III შესახვევს მიენიჭა ნათია ბაშალეიშვილის სახელი. შესახვევი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ქუჩად, ქუჩასთან არსებული ჩიხები კი დარჩა იაკობ გოგებაშვილის I და II ჩიხის სახელწოდებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლია 16 ივნისის #14-59 დადგენილების მუხლი 7-ის თანახმად, ქუჩის სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში სახელი ეცვლება ასევე ქუჩაზე მიერთებულ ჩიხს, გასასვლელს და შესახვევს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ვაკის რაიონში, იაკობ გოგებაშვილის I და II ჩიხს მიენიჭება ნათია ბაშალეიშვილის I და II ჩიხის სახელი და ამგვარად გასწორდება ხარვეზი, მოგვარდება გადანომვრის და აბრების განთავსების პრობლემა, რის გამოც ადგილობრივმა მოსახლეობამ კომისიას დახმარებისთვის არაერთხელ მომართა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის სხდომას ესწრებოდა ბორის გადელია. მან მადლობა გადაუხადა კომისიას მხარდაჭერისთვის, რაც ნამდვილად დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას არსებული პრობლემების მოგვარებაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს:ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, იაკობ გოგებაშვილის I და II ჩიხს მიენიჭოს ნათია ბაშალეიშვილის I და II ჩიხის სახელი.

4. **ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გიორგი გაგილაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა სხდომაზე გიორგი გაგილაძის ქუჩასთან განვითარებული უსახელო ჩიხისთვის ძირითადი ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ ისაუბრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს:ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს გიორგი გაგილაძის I ჩიხის სახელი.

5. **ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თენგიზ ჩანტლაძის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე კომისიის წევრებმა მოქალაქეებთან ერთად სამგორის რაიონში თენგიზ ჩანტლაძის ქუჩასთან განვითარებული უსახელო

გეოგრაფიული ობიექტის სახელდებაზე იმსჯელეს. როგორც თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, იქ სადაც ძირითადი ქუჩა უკვე სახელდებულია და ქუჩასთან ტერიტორიის განაშენიანების შედეგად განვითარდა შესახვევი, გასასვლელი ან ჩიხი, განვითარებულ უსახელო ტერიტორიას კომისიის ინიციატივით ენიჭება ძირითადი ქუჩის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს:ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს თენგიზ ჩანტლაძის II შესახვევის სახელი.

6. **"ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ნატბეურების სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N208 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ**

მოისმინეს: კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი მეექვსე საკითხი განიხილეს.

თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, საბურთალოს რაიონში ნატბეურების ქუჩის სახელდებისას განკარგულების დანართში, სადაც ასახულია აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა, უდაბნოს მონასტრის და ნატბეურების ქუჩების გავრცელების არეალის პატარა მონაკვეთი ემთხვევა ერთმანეთს, რის გამოც შეუძლებელი გახდა ამ მონაკვეთის სახელწოდების განსაზღვრა. თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, საჭიროა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2018 წლის 10 ივლისის N 208 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეიცვალოს დანართი (რუკა).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ნატბეურების დასახლებაში უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ნატბეურების სახელის მინიჭების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N208 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა.

7. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ქართულ-ეზიდური მეგობრობის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერის სახელდებაზე ისაუბრა და ქართველ და ეზიდ ხალხთა შორის მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე გაამახვილა ყურადღება. უსახელო სკვერი წარმოადგენს ეზიდური ტაძრის ეზოს, რომელსაც ეთნიკური ეზიდები უვლიან და პატრონობენ.

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, კომისიას სახელდებისთვის სამგორის რაიონის გამგებელმა კახა გულედანმა საქართველოში ეზიდთა სასულიერო საბჭოს თხოვნით მომართა. კომისიის მიერ ადგილზე მოხდა სკვერის დათვალიერება, რომელსაც ასევე საკრებულოს სამგორის ოლქის მაჟორიტარი წევრი რეზი სოხაძე ესწრებოდა.

კომისიის წევრებმა წარმოდგენილ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს ქართულ-ეზიდური მეგობრობის სახელი.

8. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გზისკარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის ნოქალაქევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის სხდომაზე კრწანისის რაიონში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდების საკითხი განიხილეს. ტერიტორიის შესწავლის პროცესში აღმოჩნდა, რომ უსახელო ქუჩა მდებარეობს გზისკარის და ეგრისის ქუჩასთან და მასთან განვითარებულია ერთი შესახვევი და ერთი ჩიხი. თინათინ ნიბლოშვილმა უსახელო ქუჩისთვის ნოქალაქევის, ეგრისის სამეფოს დედაქალაქის სახელის მინიჭების ინიციატივა გამოთქვა.

კომისიის წევრების მიერ ერთხმად მოწონებული იქნა ხსენებული ინიციატივა და საკითხი დადებითად გადაწყდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გზისკარის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას, მასთან არსებულ ერთ შესახვევს და ერთ ჩიხს მიენიჭოს ნოქალაქევის სახელი.

9. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, იგოთის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის იგოთის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის სხდომაზე განსახილველად კახეთის გზატკეცილის მე-13 კმ-ის მაცხოვრებელთა ერთობლივი განცხადება წარმოადგინა, რომლითაც მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვენ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. ტერიტორიის შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ უსახელო ტერიტორია მდებარეობს იგოთის ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის უსახელო შესახვევს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს იგოთის I შესახვევის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, იგოთის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს იგოთის I შესახვევის სახელი.

10. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის I გასასვლელის და სანდრო მირიანაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: როგორც ცნობილია, კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საბურთალოს რაიონში, ე. წ. საუნივერსიტეტო დასახლების ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით.

არსებულ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს შპს „სახლი დიღომში". მიუხედავად იმისა, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, გზები შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების და მოსახლეობის შესახლების შემდეგაც კომპანიის საკუთრებაში რჩებოდა, რაც შეუძლებელს ხდიდა სახელდების განხორციელებას. შედეგად, ასობით მოქალაქე მისამართის და ხშირ შემთხვევაში პირადობის მოწმობის გარეშე იყო დარჩენილი.

კომისიის აქტიური მუშაობის, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ჩართულობით მოხერხდა შესაბამისი სამართლებრივი პირობების შექმნა და საკითხი მომზადდა სახელდებისთვის.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ ირაკლი გაჩეჩილაძე, კარლო სიდამონიძე და სიმონ ჟორჟოლიანი. მათ ზემოხსენებულ კომპანიასა და მოსახლეობას შორის წლების განმავლობაში არსებულ პრობლემებზე კიდევ ერთხელ ისაუბრეს. მადლობა გადაუხადეს კომისიას მხარდაჭერისთვის იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრის საქმეში, რაც მოსახლეობას მისამართიდან დაწყებული მომავალშიც არაერთ პრობლემურ საკითხს მოუგვარებს.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი.

წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგრძელდეს ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩა, ნიკოლოზ სვანიშვილის ქუჩის I გასასვლელი და სანდრო მირიანაშვილის ქუჩა.

11. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, დიმიტრი გულიას ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის დიმიტრი გულიას I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი წარმოადგინა და დიმიტრი გულიას ქუჩასთან განვითარებული უსახელო ჩიხისთვის დიმიტრი გულიას I ჩიხის სახელის მინიჭებაზე ისაუბრა.

ნათია ჯანელიძემ, რომელიც საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდა, მადლობა გადაუხადა კომისიას მხარდაჭერისთვის. თინათინ ნიბლოშვილმა სახელდების შემდგომ პროცედურებზე ისაუბრა და განმარტა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება სახელდებასთან დაკავშირებით უახლოეს საკრებულოს ბიუროს და შემდგომ საკრებულოს სხდომაზე უნდა იქნას მიღებული, რის შემდეგაც სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამისამართო სამსახური ნუმერაციის, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აბრების განთავსების პროცესს განახორციელებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, დიმიტრი გულიას ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს დიმიტრი გულიას I ჩიხის სახელი.

12. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი გურჯიევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის იების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა ზემოაღნიშნული საკითხის ირგვლივ განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ კომისიის მიერ ადგილზე მოხდა უსახელო ტერიტორიის დათვალიერება და მოსახლეობასთან შეხვედრა. როგორც აღმოჩნდა, უსახელო ტერიტორიაზე იზრდება უამრავი ია, კომისიამ გაითვალისწინა მოსახლეობის მოთხოვნა და გიორგი გურჯიევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს კომისიის წევრების მხარდაჭერის შემთხვევაში იების სახელი სურს მიანიჭოს.

კომისიის წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ ინიციატივას და საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

კომისიის სხდომას და საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ ავთანდილ ირემაშვილი და გონერი მესხი. შეკითხვებზე, თუ ვის მიერ მოხდება შემდგომში ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ან როდის განთავსდება სამისამართე აბრები, თინათინ ნიბლოშვილმა მათ ამომწურავი პასუხი გასცა და ხსენებულ პროცესებში სამგორის რაიონის გამგეობის და ოლქის მაჟორიტარი წევრების ჩართულობაზე ისაუბრა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი გურჯიევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს მიენიჭოს იების სახელი.

13. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეღვინე სოლომონ ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის სხდომაზე გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ ისაუბრა. საკითხს განსახილველად სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურის უფროსის მ/შ გიორგი ტაბატაძე გვიგზავნის.

თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, თბილისის რომელიმე ქუჩისთვის სოლომონ ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების ზეპირი ინიციატივით კომისიას გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ერეკლე კუხიანიძემ მომართა. კომისიამ შეისწავლა უსახელო ტერიტორია. სხდომაზე სოლომონ ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიაზე ვრცლად ისუბრეს. მეღვინეობის გარდა სოლომონ ჩოლოყაშვილი საინტერესო სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა. მისმა ნაშრომებმა დიდი დახმარება არაერთხელ გაუწია მევენახეებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცამეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი
წინააღმდეგი - არცერთი
თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი გაგილაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მეღვინე სოლომონ ჩოლოყაშვილის სახელი.

14. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის, სამი ჩიხისთვის და ერთი

გასასვლელისთვის მხატვარ-მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის სხდომაზე თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის მხატვარ-მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის სახელის მინიჭებაზე ისაუბრა. ამ მოთხოვნით კომისიაში საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს დემურ ბაშელეიშვილის და აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორის გიორგი გუგუშვილის წერილებია შემოსული.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ემირ ბურჯანაძის სახელის მინიჭებას. სახელდებისთვის შერჩეული იქნა სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთის მიმდებარედ არსებული უსახელო ტერიტორია, რომლის სახელდების მოთხოვნითაც კომისიის თავმჯდომარის სახელზე მოქალაქე მიხეილ მამულაიძის განცხადებაა შემოსული.

კომისიის მიერ ტერიტორიის დათვალიერების და საკითხის შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ გარდაბნის გზატკეცილი შედგება ერთმანეთთან ქალაქგეგმარებითი კავშირის არ მქონე რამდენიმე მონაკვეთისგან. მისი გავრცელების არეალი მოიცავს რამდენიმე კილომეტრზე არსებულ ტერიტორიას. ხსენებული მოცემულობთ გზატკეცილის დატოვება ართულებს როგორც სამისამართე აბრების განთავსებას, ასევე გეოგრაფიულო ობიექტის ცალკეული მონაკვეთების მიგნებადობას.

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად ემირ ბურჯანაძის ბიოგრაფიაზე ისაუბრეს. თბილისის გერბის (ემბლემის), დროშის და თბილისის გასაღების ავტორი,საქართველოს ქალაქების ემბლემების ავტორი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი და თბილისის საპატიო მოქალაქე იყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთოთხმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი

თავი შეიკავა - არცერთი

გადაწყვიტეს: ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთს, მასთან არსებულ ოთხ შესახვევს, სამ ჩიხს და ერთ გასასვლელს მიენიჭოს მხატვარ-მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის სახელი.

დასასრულს, თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ დღევანდელი კომისიის სხდომაზე საჯაროდ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრები საკრებულოს სხდომაზე მიიღებენ, რომელიც უახლოეს დღეებში გაიმართება.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

21 მარტი , 2019 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი